სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსის
2018 წლის 16 მარტის N06/03 ბრძანების

დანართი

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების პორტფოლიოს წარმოების წესი

1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების წინასწარი შეფასების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების პროცესის ადმინისტრირების და ინფორმაციის სისტემატიზაციის მიზნით იქმნება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების პორტფოლიო (შემდგომში - ,,პორტფოლიო“).

2. პორტფოლიო არის სისტემატიზებული ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების წინასწარი შეფასების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების პროცესის შესახებ.

3. პორტფოლიო შეიძლება აერთიანებდეს ინფორმაციას ერთი ან რამდენიმე მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

4. პორტფოლიო აერთიანებს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) პროგრამის აღწერილობა;
ბ) სილაბუსები;
გ) პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
დ) პროგრამის აღწერილობისა და სილაბუსების წინასწარი შეფასების შედეგები;
ე) აკადემიური საბჭოს დადგენილება დარგობრივი კომიტეტის შექმნის თაობაზე;
ვ) დარგობრივი კომიტეტის სხდომის ოქმი/ოქმები;
ზ) აკადემიური საბჭოს დადგენილება პროგრამის დამტკიცების შესახებ;
თ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა;
ი) აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ასლი;
კ) ინფორმაცია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების და/ან რჩევების გათვალისწინების თაობაზე;
ლ) ხელშეკრულება პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებასთან (არსებობის შემთხვევაში);
მ)ხელშეკრულება პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან /დაწესებულებებთან (ერთობლივი პროგრამის შემთხვევაში);

ნ) პროგრამაში განხორციელებული ცვლილელები და აკადემიური საბჭოს დადგენილება მათი დამტკიცების შესახებ;
ო)პროგრამის სტუდენტების რაოდენობა (საერთო რაოდენობა, აქტიური, სტატუსშეჩერებული), მათ შორის საქართველოს მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე, მამრობითი, მდედრობითი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირი, სოციალურად მოწყვლადი, ქართულ ენაში მომზადების პროგრამის კურსდამთავრებული;

პ) პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, მასწავლებლების და მოწვეული პერსონალის რაოდენობა;
ჟ) პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის თანაფარდობა;
რ) პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, მასწავლებლების და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა;
ს) პროგრამის მონაწილე სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
ტ) პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის, მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები;
უ) პროგრამის კომპონენტებში სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი;
ფ) ფაკულტეტის/პროგრამის სტუდენტების სხვა ფაკულტეტზე/პროგრამაზე გადასვლის მაჩვენებელი (შიდა მობილობის მაჩვენებელი);
ქ) ფაკულტეტის/პროგრამის სტუდენტების მობილობის/შიდა მობილობის მაჩვენებელი (ფაკულტეტიდან/პროგრამიდან გადასვლის და/ან ფაკულტეტზე/პროგრამაზე გადმოსვლის მაჩვენებელი);
ღ)ფაკულტეტზე / პროგრამაზე აბიტურიენტების / მაგისტრანტობის კანდიდატების/დოქტორანტობის კანდიდატების რეგისტრირებული განაცხადების რაოდენობა;
ყ) პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისა და ამავე პროგრამის კურსდამთავრებულთა თანაფარდობა;
შ) პრაქტიკის/სტაჟირების/სხვა სასწავლო კომპონენტის გავლის შემდგომ იმავე დაწესებულებაში სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი (არსებობის შემთხვევაში);
ჩ) პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ქულა (GPA);
ც) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და/ან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში მოღვაწე ქართველი და უცხოელი სპეციალისტების შეფასება (არსებობის შემთხვევაში);
ძ) პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
წ) დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;
ჭ) პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
ხ) პროგრამის კურსდამთავრებულების პროგრამის პროფილის მიხედვით დასაქმების მაჩვენებელი;
ჯ) პროგრამის კურსდამთავრებულების არაპროფილურად დასაქმების მაჩვენებელი;
ჰ) პროგრამის სტუდენტების დასაქმების მაჩვენებელი;
ჰ[1]) სხვა სახის ინფორმაცია პროგრამის/პროგრამების თავისებურებების და საჭიროებების გათვალისწინებით.

5. პორტფოლიოსთვის ინფორმაციის შეგროვებასა და სისტემატიზაციას უზრუნველყოფს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის და უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით.

6. პორტფოლიოს ინფორმაციის განახლება ხდება სისტემატურად, პროგრამის/პროგრამების განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით.